№ 52. 8 მარტი, ხუთშაბათი. 1866—1884 8 მარტი, ხუთშაბათი. № 52.

«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროა მოთხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## „დროების" ფასი პირველის მარტიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი.

**გორის მაზრის მხმარებელთა საზოგადოების გამგეობა** უცხადებს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა, რომ 18 მარტს გორის ქალაქის გამგეობის დარბაზში იქნება ჩვეულებრივი კრება განსახილველად წლიური ანგარიშისა და საზოგადოების შემდეგი მოქმედებისა. (6—4)

## სამართალი და სამართლის რეფორმა

თბილისი, 8 მარტი.

კარგა ხანია, რაც რუსეთში დიდი ბაასი ატყდა შესახებ იმისა—თუ რამდენად სასარგებლოა ამ ოციოდ წლის წინად შემოღებული სასამართლო რეფორმა. ერთმა ნაწილმა მწერლობისამ მედგრად გაილაშქრა თანამედროვე სასამართლო წყობილების წინაალმდეგ და, რაც ძალი და ღონე აქვს, ამტკიცებს მისა უვარგისობას, მავნებლობას; იმის აზრით, ნაფიცთა სამართალი, მოსამართლეთა გარდაუყენებლობა და დამოუკიდებლობა, ესე იგი, ყოველივე ისა, რაიცა შეადგენს სასამართლო წყობილობის შვენებას და აუცილებელს ელემენტს, არის ნაყოფი ცრუ ლიბერალიზმისა და მავნებელია, როგორც თვით სამართლისათვის, აგრეთვე უმაღლესის უფლების განუსაზღვრელობისათვის. იმის აზრით, მას აქეთ, რაც სასამართლო რეფორმა შემოიღეს, ამ უმაღლესს უფლებას ვითომ და ფრთა შეეკვეცა და სხვ. და სხვ. რასაკვირველია, უსაფუძვლო, უსაბუთო და სინიდის-მოკლებულს ლაპარაკს სამზღვარი არა აქვს, მაგრამ სწორედ გასაოცარია, რომ რეფორმის შემოღების ოცის წლის შემდეგ, როცა თვალსაჩინოდ დამტკიცდა ახალი სამართლის წესების უმჯობესობა ძველს სასამართლო წესებზე, ეჭვი შემოიტანეს ნაფიცთა სამართლის სიკეთეზე, ეჭვი შემოიტანეს იმისთანა საგანზე, რომელიც სასიკეთოდ ცნობილია მთელი ევროპის მეცნიერებისაგან.

მიზეზი ესეთი გაცხარებული ბაასისა იყო ორიოდე შეცდომილობა სასამართლოსი; ეს ორიოდე შეცდომილება ხელზე დაიხვიეს ზოგიერთებმა და მთლად უარჰყვეს თანამედროვე სასამართლო; ამ უკანასკნელის მოწინაალმდეგენი კარგა ხანია, რაც კბილებს ლესავდენ და მოელოდენ იმ დროს, როცა შესაძლებელი შეიქნებოდა სასამართლო წყობილების წინაალმდეგ ომი. ეხლა სწორედ მარჯვე დრო შეხვდათ, რადგანაც, როგორც გაზეთები და ტელეგრამები გვატყობინებენ, მართლადაც, განძრახვა აქვთ ახალს სასამართლოს ფრთები მოჰკვეცონ. ვინ იცის აღსრულდება თუ არა პეტერბურგიდგან მოსული ხმები, მაგრამ, რადგანაც შეუძლებელი არა არის-რა დედა-მიწის ზურგზედ, ამიტომაც ყოველსავე შეუფერებლობას უნდა მოველოდეთ.

ამ ბაასში ახალი სასამართლოს მოწინაალმდეგეთ ეტყობათ მომეტებული სიბრაზე; ისინი თავიანთი აზრის დასამტკიცებლად არ ერიდებიან აზრის დამახინჯებას, ფაქტის გადასხვაფერებას ან დამალვას, ასე გასინჯეთ, რომ ორიოდე შეცდომილებისთვის უარსა ჰყოფენ მთელს სასამართლო წყობილებას, და იმას კი ივიწყებენ, რომ ძველი სასამართლო სავსე იყო ბოროტებით, ანგაარებით; იგი მოქცეული იყო ერთის წოდების ხელში და, მაშასადამე, სამართლიანი და მიუდგომელი ვერ იქნებოდა. რაც შეეხება იმას, ვითომც ახალი სასამართლო განურჩევლად ამართლებდეს აშკარა ბოროტ-მოქმედებას და უფრო გამართლებითი განაჩენს ადგენდეს, ამაზე უნდა ვთქვათ, რომ სასამართლო საქმეების სტატისტიკა წინაალმდეგს გვიმტკიცებს. სტატისტიკა გვეუბნება, რომ ახალი სასამართლო ბევრად უფრო მიუდგომელია ძველს სასამართლოსთან შედარებით და ამიტომაც შეძლებისა-და-გვარად კანონის და ჭეშმარიტების მიხედვით მოსამართლობს. ვის არ ახსოვს, რა იყო ძველი სასამართლო? ის ისეთი რამ იყო, რომ ღარიბი, უბრალო წოდებისა და უნათესავო კაცი ვერას დროს ვერ ეღირსებოდა სამართალს; ის ისეთი რამ იყო, რომ სჩაგრავდა უძლურთა, ღარიბთა, ობოლთა და ფრთას ასხამდა მდიდართა, შეძლებულთა და მოხერხებულთა; იგი იყო ფარული, და, როგორც ვიცით, სიმართლეს და ჭეშმარიტებას ეპირვება სინათლე და არა წყვდიადი.

მით უფრო გასაკვირველია ბრძოლა ახალი სასამართლოის წინაალმდეგ, რომ სასამართლოს რეფორმა არის შედეგი კიდევ უუდიდესის რეფორმისა—ბატონ-ყმობის გაუქმებისა. ბატონ-ყმობის გაუქმებას, სხვა-და-სხვა წოდებათა შეთანასწოროებას კანონის და უმაღლესი უფლების წინაშე, უნდა გამოეწვია სასამართლო რეფორმა, რადგანაც კანონის წინაშე შეთანასწორებულთ ეპირვებოდათ ერთგვარი სამართლიანი და ჭეშმარიტების დამცველი სასამართლო.

კიდევ ორიოდე სიტყვა სასამართლოებზე მეტად თამამად და უსინიდისოდ იმაღლებდენ ხმას მწერლობაში ახალის სასამართლოის მოწინაალმდეგენი, რადგანაც მათთვის არავითარი სამზღვარი არა აქვს სიცრუვესა და უსინიდისობას. იმათ ეგონათ, რომ მათ წინაალმდეგ ვერავინ რას იტყოდა, მაგრამ, დახეთ ბედსა, მათს წინაალმდეგ გამოილაშქრა თვით აქსაკოვმა, რომელიც მათ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ახალი სასამართლოის მოწინაალმდეგედ მიაჩნდათ. აქსაკოვის წერილი შესახებ ახალის სასამართლოისა და ძველისა მეტად საფუძვლიანი და გრძნობიერია. ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს მკითხველ საზოგადოებაზე. რასაკვირველია, აქსაკოვის წერილი არაფრად ესიამოვნათ კატკოვსა და მის დამქაშებს, მაგრამ ეს სრულიად გასაკვირველი არც არის.

შეჭველია, უიმისოდაც არ იქნებოდა, რომ დროთა ვითარებას რაიმე ნაკლულევანება არ აღმოეჩინა სამართლის ახალს წესში, მაგრამ ნაკლულევანებას შესწორება ეპირვება და არა ძირიანად აღმოფხვრა მთელის შენობისა; ასე ჰკუაზედ ხელ-

«დროების» ფელეტონი, 8 მარტი.

## მიწის მფლობელობა ჩვენში.

წერილი იგრის ხეობიდამ.

(დასასრული *)

თქვენა ჰხედავთ, რომ დედა-აზრი, რომელზედაც არის დაფუძნებული ეს სათემო მიწის მფლობელობა, შემდეგია: **ვისაც რამდენი უნდა და შეუძლიან, ნება აქვს მოიხმაროს.** პირველი მიზეზი და საბუთი არის მისწრება. ყველა მოქმედობს ანდაზის ძალით: «ვინც მიდიოდა, ჰფქვავდაო, ვინც არა და ჯერს ელოდებოდაო». სათემო მიწის მფლობელობა კი არ უნდა ერქვას, ამას უნდა ერქვას მისწრებითი მიწის მფლობელობა. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რამდენი შარი, დავიდარაბა და ჩხუბი უნდა ჰხდებოდეს ამ სოფლებში ხვნისა და თიბვის დროს. მაგ. ხვნაში ყველა ცდილობს, რომ მოხნას უკეთესი, უმეტესი და უახლოესი მიწა. და, რასაკვირველია, რომ ყველას არ შეხვდება ამისთანა მამული და ამის გამო ჩნდება ათასი უსიამოვნობა, ჩხუბი და დავი-დარაბა. ეგრეთვე ადვილად მიჰხვდება მკითხველი, რომ ამისთანა მფლობელობა არის სარფა შეძლებული, ღონიერი გლეხებისთვის; ესენი ყველას მიუსწრობენ ხვნაში, თიბვაში, თუ სხვაში. მართალია, «შუა-კაციც» და ყველა «ხარიანი» გლეხი, თუკი მისდევს ხვნას, არ დარჩება უხნავი, მოჰხნავს კიდეც თითო-ოროლა დღისას, მაგრამ ცოდო მოდის «უხარო», «უხნავ-უთესი» კაცი, რომელნიც საკმაოდ არიან აქაურ სოფლებში. «საწყალი ხალხი» ვერცა ჰხნავს, ვერცა ჰთიბავს, ვერც საძოვარსა ხმარობს. იმის წილს მინდორს სულ შეძლებული ხალხი ეპატრონება. თითო-ოროლა დღისას მოჰხნავენ «შუა-კაცები», შეძლებულ «წინა-კაცებს» კი აქვთ გადაჭიმული ოცი, ოც-და-ათი და მეტი დღიური ნახნავი. ყველა კაი ადგილები სათემო მინდორში, როგორც სახნავი, ეგრეთვე სავენახე და საწისქვილე სულ შეძლებულების ხელშია, საძოვარიც სულ ამათ საქონელს უნდა. «შუა-კაცებს» თუ ჰყავთ თითო-ოროლა სული, თორემ საწყალს ხალხს სრულებით არა ჰყავთ-რა. თუ შემოსავალი არის რამე სათემო მინდვრიდან, იმასაც შეძლებული ხალხი «სჭამს». ხარჯსაც, რომელსაც უფრო უნდა წინა-კაცები იწერდენ, ვიდრე შეუძლებელნი, ან თითონვე გააწერენ ხოლმე სოფელს, ან იმათი «კუდები» და, რასაკვირველია, ძალას არ იტანენ და ხარჯი აწვება ისევ იმავე საწყალ ხალხს. ერთი სიტყვით, შეძლებული ხალხი ბატონი არის სოფლისა და იმის ქონებისა. საწყალი ხალხი ფიქრობს: «მაშ რიღას მოვაგლახენი ვართო!! ისე უნდა მოვახერხოთ, რომ ჩვენც გვეგულებოდეს მინდორ[ში] ჩვენი წილიო, თუ თითონ ვერ მოვხნავთ, სხვაზედ მაინც შეგვეძლოს ღალით მიცემა, გაქირავება. ან არა და სულ ისე ეგდოსო».

აი ეს იფიქრა აქაურმა საწყალმა ხალხმა და გადასწყვიტა «რომ მინდორი უთუოდ გავყოთო, წესი და რიგი ჩამოვაგდოთო, მოგვეწყინა მისწრება და ძალადობაო». ამათ მიიმხრეს შუათანა შეძლების ხალხი და ერთად თხოულობენ მინდვრის გაყოფას. რომ გაყოფა მინდვრისა უეჭველად საჭიროა, ესენი ყველანი თანახმანი არიან ამაზედ, მაგრამ, როცა ლაპარაკი დაიწყეს, თუ როგორ უნდა გავყოთო, მაშინ კი ორ ნაწილად გაიყო ამ აზრის ხალხი. ზოგი მათგანი, უფრო შუათანა შეძლების გლეხნი, თხულობენ მხოლოდ სათემო მინდვრის გაყოფას, ხარჯის დაგვარად, ანუ შეძლებისა-და-გვარად, რადგანაც ხარჯს შეძლებაზედ აწერენ ამ სოფლებში. ზოგი, უფრო საწყალი ხალხი, თხოულობს, მინდორი სულ უნდა გავყოთო, რო-

*) იხ. «დროება», № 51.

ალებულები თუ მოიჭრიდენ, რომელსაც საკმარისია ცოტაოდენი შეკეთება შენობის განახლებისა და ახალს მოთხოვნილებასთან შეფერებისათვის.

## შინაური ქრონიკა

— გუშინ მოვიდა ტელეგრამა პეტერბურგიდამ თ. დონდუკოვ-კორსაკოვისა, რომელიც შემდეგს სასიამოვნო ამბავს ატყობინებს პრიკაზის მოვალე ჩვენს თავად-აზნაურებს:

მინისტრთა კომიტეტს 5 მარტის სხდომაში გადაუწყვეტია იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორთან, რომ პრიკაზის ვალის ნახევარი სრულიად ეპატიოს თავად-აზნაურობას, ხოლო მეორე ნახევარი 37 წლის განმავლობაში გადახდეს. ტელეგრამაში არ არის ნათქვამი ყველა მოვალეს ნახევარ-ნახევარი ეპატიება, თუ კატეგორიებად დაყოფას კიდევ ძალა ექნება და შეძლების კვალობაზედ მიეცემათ მოვალეებს შეღავათი.

— ბორის მაზრაში ერთი უდიდესი და შესანიშნავი სოფელი არის ახალქალაქი, რომელშიაც სცხოვრებენ 100 კომლამდე სომეხი და ორმოცამდე ქართველი. ამ სოფლის საზოგადოებისათვის თარხნიშვილებს უჩუქებიათ 170 საჟენი მიწა, რომელიც სოფელს სოფლის საჭიროებისათვის გამოუყენებია: გაუმართავს იქ სკოლა, მაღაზია, კანცელიარია და სასწორი. სკოლის გამართვასა და შენახვაში მონაწილეობას იღებდენ და იღებენ თურმე გარეშემო სოფლებიც: ჩოჩეთი, ნოსტე, ახალ-ციხე, ერთა-წმინდა და სათარხნო მთაში გადმოსახლებული მთიულები. დღემდის საქმე რიგზედ მიდიოდა თურმე, მაგრამ ერთს ტერტერას მოუწადინებია ჯილდოს დამსახურება თავის მთავრობის წინაშე და სოფლისთვის უქადაგნია ზემოხსენებულ ადგილზედ სომხის ეკლესია ააშენეთო. ბევრნი კიდეც დაუყაბულებია. ამ ამბავს ძალიან შეუწუხებია დანარჩენი ორმოცი კომლი, რადგან, აქ თუ ეკლესია ააგეს, აღარც სკოლისათვის, აღარც სხვა დაწესებულებისათვის ადგილი აღარ იქნება და გაუქმდებიან. ასს კომლს მაინც თავისი გაუტანია და განაჩენი შეუდგენია ეკლესიის აგებაზედ; ორმოცი კომლი კი თურმე წინააღმდეგია ამ განაჩენისა და თხოულობს, რომ, რაკი ეს საქმე სხვა გარშემო სოფლებსაც შეეხება, იმათაც უნდა ეკითხოსო. ისე შესჯიბრებიან ერთმანეთს, რომ ასს კომლს განაჩენით გადაუყენებია ქართველი გზირი და თავისი დაუნიშნავს. მაგრამ ორმოც კომლს ახალი გზირისათვის გამოუცხადებია, რომ შენ ძალად-არჩეული ხარ, არა გვწამხარ და ჩვენ ისევ ძველს გზირს ვიგზირებთო.

სამწუხაროა, რომ რომელიმე ტერტერის თავ-მოყვარეობის გამო სოფლის ორ ნახევარს შუა ესეთი ცილობა ჩამოვარდა და სკოლასაც განსაცდელი მოელის.

— მოსკოვიდამ გვატყობინებენ, რომ ამ ხანებში იქაც გაუმართავთ სტუდენტებს ქართული სამუსიკო საღამო, რომელზედაც მრავალი ხალხი დასწრებია და დიდი თანაგრძნობაც აღმოუჩენია. დამსწრეთა შორის ბევრნი იმისთანანი ერივნენ თურმე, რომელთაც მამა-პაპა საქართველოდამ გადასახლებულა და ეხლა მხოლოდ ქართული გვარი-ღა შერჩენიათ. საზოგადოებას უთხოვნია გამგეთათვის, რომ წელიწადში თუ ორჯერ არა, ერთხელ მაინც გვაჩვენეთ ხოლმე ამისთანა სიამოვნებაო.

ამ გვარი საღამოები ცოტა არ იყოს შეღავათს მისცემენ საშუალებების მხრივ ჩვენს ღარიბ სტუდენტებს. ამ ჟამად რუსეთის უნივერსიტეტებში 150-მდე მოსწავლე სტუდენტია და მომეტებული ნაწილი, რასაკვირველია, სიღარიბით მეტად შეწუხებული.

— ბ. ალ. ცაგარელი მალე გამოსცემს თურმე თავის მოგზაურობას ცალკე წიგნად. როგორ მკითხველებმა იციან, ცაგერელი მოგზაურობდა პალესტინის საზოგადოების მინდობილობით და იყო ათონის მთაზედ, სტამბოლში, პალესტინაში, არაბეთში და სხვ. ხსენებულ ქვეყნებში ბ. ცაგარელს დიდ ბევრი რამ შესანიშნავი უნახავს ჩვენის ისტორიისათვის, სხვათა შორის, მრავალი სურათები ისტორიულ პირთა იერუსალიმის ქართულ ტაძრებში. ამას გარდა, იმას უნახავს იერუსალიმის ტაძარზედ წარწერა არაბულს ენაზედ, რომლის ძალითაც ტაძარში შემსვლელს ყველასა ჰხდებოდა ხარჯი, ხოლო ქართველებისაგან ხარჯის გამორთმევა სასტიკად აკრძალული იყო. არაბეთში მოგზაურს უნახავს ქართველების უძველესი კოლონია, რომელშიაც ექვსასამდე კომლი ყოფილა და ეხლა ყველანი ვარდის მოყვანითა სცხოვრობენ. ქართული ამ ხალხს არაფერი ეტყობა თურმე გარდა სახიერებისა და ძველი ეკლესიების პატივისცემისა. გარეშემო ხალხი ამათ ჯერ კიდევ გურჯებს უძახისო.

— კვირას, 4 მარტს, უკურთხებიათ ორი განყოფილება სამკურნალოსი, რომელიც დაწესებულია ღარიბი მცხოვრებლებისთვის თბილისის მოქალაქეთაგან სახსოვრად 4-ის აპრილისა 1866 წლისა: ერთი ხარფუხში, აბანოების ახლო, და ერთიც ავლაბარში, მოედანთან. ეს განყოფილებანი გაიხსნა ქ. თბილისის თავის თაოსნობით, რისთვისაც იგი მადლობის ღირსია. ამ განყოფილებათ დიდი მნიშვნელობა აქვთ და სარგებლობაც შეუძლიანთ მოუტანონ ღარიბ მცხოვრებლებს, რადგანაც ქალაქის ამ ნაწილებში (განსაკუთრებით ხარფუხში) ექიმები ძალიან ნაკლებად სცხოვრობენ და ამის გამო მცხოვრებლები მუდამ საჭიროებენ მკურნალობას.

კურთხევაზე დასწრებიან გუბერნატორი გენერალ-მაიორი ბ. შროსსმანი და სხვა თბილისის დიდ-კაცობა.

— შაბათ ღამეს გაუქურდავთ მეორე მომრიგებელი განყოფილება. გაზ. „ახალი მიმოხილვის“ სიტყვით, ამ განყოფილების გაქურდვა პირველი არ არის. ამ ჟამად, გარდა სხვა-და-სხვა ნივთებისა, ქურდებს 800 მანათიც წაუღიათ. უსახელო ბანკის ბილეთებისთვის, რომელნიც წაღებულ ფულებთან ერთად წყობილან, და აგრეთვე საქმეებისთვის ხელი არ უხლიათ. როგორც სჩანს, — ამბობს იგივე გაზეთი, — ქურდებს არხეინად და აუჩქარებლივ გაუკეთებიათ თავიანთ საქმე, რადგანაც წასვლის შემდეგ ბევრი პაპიროზის ნამწვები გაუშვიათ იქაო. ჯერ-ჯერობით მარტო განყოფილების მოსამსახურე დაუტუსაღებიათ.

— კიდევ არ დაჰვიწყებიათ ოსებს თავიანთი სამარცხვინო ჩვეულებანი. ამას წინად ბორის მაზრის ოსეთის სოფ. ო. მცხოვრებელმა დ. ჩ—მა დაიწერა ჯვარი თავის უფროსის ძმის ცოლზე (!!!). თუ უკაცრავად არ ვიქნებით, ვკითხავთ ადგილობრივ ბლ—ს, თუ რა გარემოებით მოხდა ეს შემაძრწუნებელი ქორწილი...

— ბორის მაზრის ოსეთიდამ გვწერენ: «სიხარულით მოველოდით, რომ ეგზეკუცია მარტის დამდეგს მოგვშორდებოდა, მაგრამ, როგორც სჩანს, იმედი გაგვიცრუვდაო.

— ბორის მაზრის ოსებისათვის მათი ცრუ-მორწმუნება მათს დამსჯელ იარაღად გამხდარა. საქმე ის არის, რომ ქურდების გამოსააშკარებლად ეგზეკუცია ხმარობს შემდეგს თავისებურ საშუალებას: იმ პირს, რომელსაც ქურდობას აბრალებენ და რომელიც ამაში არა სტყდება, იგი ყელზე ნაგავით სავსე ტომარას ჩამოჰკი-

გორც სათემო, ეგრეთვე დაჩემებული მინდორიცაო, ე. ი. «საბლის მამულებიცაო». შეძლებაზედ გაყოფა არ ვარგაო, ისევ სულ შეძლებულებს ერგებათ მინდორიო; არა, თანაბარად უნდა გავყოთ კომლზედაო და ხარჯიც თანაბარად უნდა გაიწეროთო. პირველი აზრის მომხრენი უპასუხებენ ამათ, რომ საწყალი ხალხი ვერ შესძლებს იმოდენა ხარჯის მიცემასაო, მეტადრე ქვრივები და ობლები. საწყალი ხალხი კი ეუბნება მათ, რომ მართალია, ხარჯი მოგვემატება, მაგრამ იმას «შეძლებულების კისრიდგან ამოვიღებთო», იმათ სახნავი შემოაკლდებათ, იძულებულნი იქნებიან ჩვენი ნარგები მიწები ღალით აიღონო, და ეს ღალა შეგვაძლებინებს ხარჯის მიცემასაო. საძოვარი კიდევ ყველა კომლს მივცეთ ნება, რომ უხარჯოდ იყოლიოს ჩვენს საძოვარზედ მხოლოდ ყევარი ხარი, ანუ კამეჩი, ერთი ცხენი, ერთი ძროხა, და რაც მეტი ეყოლება ან ცხვარი, ან ღორი და სხვა საქონელი, იმაზედ საბალახე ავიღოთო. რაც ფული შემოვა ამ საბალახისა სასოფლოდ იქნებაო და ამით შევისუმბუქებთ სახელმწიფო და სხვა გადასახადების მიცემასაო. აღარც საყვედური გვექნება საწყალ ხალხს შეძლებულთაგანაო. შეუძლებელი ხალხი, რაკი ჰხედავს, რომ ეს გაყოფა აუცილებელია, ცდილობს თავის სასარგებლოდ მოახდინოს.

ერთის სიტყვით, გაყოფა გადაწყვეტილია ყველა სოფელში, მაგრამ ამ სურვილის აღსრულებას უშლიან სხვა-და-სხვა მიზეზები, მაგ., აზნაურების მონაწილეობა სათემო მინდორში. მანამ აზნაურებს ცალკე არ მიუზომავენ ადგილებს, მინამდის არ შეიძლება იმ მინდვრების გაყოფა. ამ საქმეს უშლის აგრეთვე ხალხის დაუდევრობა და უთაურობა. ზოგიერთ სოფელში კიდეც გაჰყვეს მინდორი წარსულს 1883 წ. სოფ. სართიჭალაში არ იყო დაჩემებული, «საბლის» მამულები, მთელი მინდორი სულ სათემოდ იყო, და ამისთვის მთელი ეს მინდორი თანაბრად გაუყვეს ყოველ მოხარჯე კომლს და ხარჯიც თანაბრად გაიწერეს. ს. ბერთუბანში გაჰყვეს შეძლების-და-გვარად მარტო სათემო მინდორი და საბლის მამულებს კი, რომელნიც კარგა ბლომად არიან ამ სოფელში, ხელი არ ახლეს, ისევ ძველი პატრონების ხელში გაუშვეს. დაყოფა მოხდა ამ ნაირად: მთელი სოფელი გაიყო ხარჯის-და-გვარად სამს ნაწილად: «ლიტრის» კაცი, «ნახევარ-ლიტრისა» და «ჩარექისა». მინდორს რომ ჰყოფდენ, ერთ ზომას აძლევდენ ჩარექის კაცს, ორს ზომას — ნახევარ-ლიტრისას და სამს ზომას — ლიტრის კაცს. ჰყოფდენ თარგსა და თარგსა მინდვრისას. ასსა და კარგს არ დასდევდენ, რადგანაც ერთი თარგის მიწები უმეტ-ნაკლებოდ ღირსებით თანასწორნი არიან. ხარჯიც ამის-და-გვარად არის გაწერილი ამ სოფელში. წარსულს 1883 წელს, გაზაფხულზედ, ახბულაყელებმა გაჰყვეს მთელი თავისი მინდორი, როგორც სათემო, ისე საკუთარი. მართალია, საბლის მამულები არ ჩამოურთმევიათ პატრონებისთვის, მაგრამ გამოუბარეს და საწყალმა ხალხმა იმათი ბადალი — სათემო მიწებში აიღო. გაჰყვეს მხოლოდ სახნავი მამულები, სათიბი და საძოვარი კი ისევ ძველებურ მფლობელობაში დარჩა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გლეხები ეხლა ისე უწესოდ და ურიგოდ აღარ მოიხმარებენ ამ მინდვრებს.

შ. ხი—შვილი.

დებს ხოლმე და ზურგზე უნაგირს დაადგამენო (!!!).

≈ აი ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეელიან ხალხს მკითხავები გორის მაზრის ოსეთში: ერთი საწყალი გლეხი სოფ. ო., ნ. ჩ—შვილი ავად გამხდარიყო. მკითხავს ერჩია, ღამე ეთია ერთ «ძუევანდონში», რომელიც იმყოფება დაბურულ ტყეში. საწყალი გლეხიც გაემგზავრა თურმე დანიშნულ ალაგას იმისთანა სიცივეში და ღამე თოვლზე გაათია. ავადმყოფს ვინა ჩივის—თუმცა არც ეს დააყრიდა თბილი საწოლის შემდეგ ხეირს—საქმე ის არის, რომ უბედური ავადმყოფი კინაღამ მგლებს შეეჭამათ.

≈ მმართებლობის წრეებში, «მოსკ. უწყებების» სიტყვით, აღძრულა საქმე შესახებ იმისა, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს პროექტი კერძო პირთა ტყეების დაცვაზედ თბილისის გუბერნიაშიაც გავრცელდეს და აგრეთვე შეიცვალოს წესები კავკასიის მცხოვრებთაგან სახელმწიფო ტყით სარგებლობისა.

≈ «ივერიის რედაქციისაგან». თუმცა თებერვლის წიგნი ჟურნალის «ივერიისა» 28 თებერვალს უკვე მზად იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამოვა და კარგა ხანს დაიგვიანებს სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! როდესაც ბათუმში «წერა-კითხვის საზოგადოებამ» სკოლა გახსნა, ამ სკოლის მასწავლებლების მეოხებით და მათის ხალხთან ტკბილად მოქცევით აღიძრა ხალხში სურვილი სწავლისა და, ჩვენდა სასიამოვნოდ, დღითი-დღე მატულობს რიცხვი შეგირდებისა; მაგრამ არ იქნება არა ვსთქვათ, რომ ამ სკოლას ბევრი დაუკმაყოფილებელი საჭიროება აქვს. ზოგიერთნი აქეთ-იქიდან ცდილობდენ ფულით შემწეობას, მაგრამ, სადაც ორმოცი და სამოცი თუმნებია საჭირო, იქ ხუთი და ათი, თუნდა ოციც რას გაუხდება. ყველამ ვიცით საზოგადოდ, რაც მნიშვნელობა აქვს სკოლებსა, მეტადრე იმისთანა მხარეს, როგორიც არის ბათუმი და უთუოდ ყველანივე უნდა ვცდილობდეთ იქაური სკოლის წარმატებას.

ბათუმი არის ერთი საუკეთესო და საიმედო ნაპირთაგანი ჩვენის ქვეყნისა, ბათუმის სკოლა აღგვიზდის, შეგვაერთებს და დაგვიბრუნებს იმათ შვილებს, რომელნიც ერთ დროს ბედნიერებისა და უბედურობის უღელს ერთად გვიწევდენ და ეხლა-კი სხვა-და-სხვა ისტორიულ მიზეზთა გამო ჩვენგან დაშორებულან და გაგარეულებულან. მაშასადამე, განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციოს «წერა-კითხვის საზოგადოებამ» ბათუმის სკოლას.

მაგრამ ის ადგილი, სადაც ეხლა სკოლა იმყოფება მეტად მდარეა: როგორც თვით სახლი შეუფერი სკოლისათვის, ისე ალაგი, ჭაობიანი და ციებ-ცხელებიანია; აქაური წამხდარი ჰაერი აზარალებს, როგორც შეგირდებს, ისე მასწავლებელს. მე, როგორც ახლოდ მცნობი, როგორც საზოგადოდ ბათუმის მდებიარებისა, აგრეთვე იქაური სკოლის გარემოებისა, ვფიქრობ, რომ ყოვლად შეუძლებელია ამას იქით ის სკოლა იქ დარჩეს, სადაც ამ ჟამად იმყოფება; თორემ თუ იმ მდგომარეობაში დარჩა, როგორშიაც ეხლაა, მაშინ საშიშია, რომ სულ ერთიანად ავად დახდენ, როგორც მასწავლებელი და მისი ოჯახობა, აგრეთვე შეგირდები. ამისათვის მე, როგორც ამ სკოლის წარმატების მსურველი, ვაუწყებ «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას», რომ იმ ადგილას ვერც ერთი მასწავლებელი ვერ შესძლებს დიდი ხნით ყოფნას და მასწავლებლების ხშირად ცვლა, პატივცემულ «საზოგადოებას» უფრო უკეთ მოეხსენება, რომ ძლიერ მავნებელია სკოლისათვის, მით უფრო, რომ ეხლანდელ მასწავლებელს ძალიან შეთვისებული ჰყავს ბათუმში მცხოვრებლები—ქართველი მაჰმადიანები და იმან რომ თავი დაანებოს იქ მასწავლებლობას, სასურველი არ იქნება.

ქეთევან ყურულისა.

6-ს მარტს.
ქ. თბილისი.

## უცხოეთი

— ჯერ ფრანცუზებს სონტაი არ აეღოთ, როდესაც შავი დროშების წინამძღოლმა, ლიუ-ვინ-ფუომ, გამოსცა ფრანცუზების წინააღმდეგ პროკლამაცია და მთელს ტონკინში მოჰფინა იგი. აქამდინ ნამდვილად არავინ იცოდა, რასა სწერდა შავი დროშების სარდალი თავის პროკლამაციაში, მაგრამ ეხლა კი განოიში ერთს კორესპონდენტს ჩავარდნია ხელში ამ პროკლამაციის ნამდვილი ეგზემპლიარი და ერთი ფრანცუზული გაზეთისთვის გამოუგზავნია დასაბეჭდად. ეს პროკლამაცია იქამდინ თავისებურია, იქამდინ საინტერესოა და ისე ნათლად ხატავს ჩინეთის მთავარ-სარდლების ხასიათს, ზნეს და ტრაბახობას, რომ არ შეგვიძლიან არ გავაცნოთ იგი ჩვენს მკითხველებს. აი, იმის შინაარსი იმ სახით, როგორც გაზეთებში არის მოყვანილი.

ლიუ-ვინ-ფოუკი თავის პროკლამაციაში ჯერ მოჰყავს ის გარემოება, რომ ანამი ყოველთვის ჩინეთის ნაწილს შეადგენდა და ეს უკანასკნელი ყოველთვის მისი მფარველი ყოფილა უსასყიდლოდ. შემდეგ ჰამბობს: «ფრანცუზებს იმედი აქვთ თავისი უძლიერესი ძალისა და გაუმჯობესებული იარაღისა; საიგონიც და ქვედა კოხინჩინიც იმათ დაიპყრეს ძალად და მოტყუებით; ეხლა ისინი ტონკინსაც იპყრობენ, რადგან ამ ქვეყნის ტამოჟნის შემოსავალს და საუნჯეთ ხელიდამ აცლიან მას. იმათს სიხარბეს საზღვარი აღარა აქვს. ისინი იქამდინ სასტიკნი და მტარვალნი არიან, რომ თვით სულნი *), როდესაც დაინახეს მათი ამდენი ბოროტ-მოქმედებანი, შეძრწუნდენ და აღელდენ; სულთაც, როგორათაც ხალხს, აღარ შეუძლიან ამაზე მეტად თავი შეიმაგრონ და თავის გულის წყრომა არ მოუვლინონ ფრანცუზებს. ანამის მფარველმა გვიბოძა ჩვენ ხარისხნი (ტიტული); სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყოველი ღონის-ძიება ვიხმაროთ რათა დავუმტკიცოთ მას ჩვენი მადლობა და ვიბრძოლოთ იმის გულისათვის ჩვენის ჯარების წინა რიგში, რომელთა რიცხვი ოცი-ათასამდინ, თუ ოცდა-ათი ათასამდინ იქნება. ჩინეთი გულ-გრილად არ უცქერის მას, რაც ანამში ხდება: ათასზე მეტი მანდარინი და სალდათი გაიგზავნა ტონკინში, რათა მიიღონ მონაწილეობა ამ ქვეყნის დაცვაში. ჩინეთის იმპერატორმა მიბრძანა მე ვიმოქმედო ისე, როგორც გარემოება მოითხოვს, იმ პირობით კი, რომ სულ ერთიანად ამოვხოცო ფრანცუზები, რომელთა სისხლმა უნდა მოგვიკლას ჩვენ წყურვილი, ხორცმა გაგვაძღოს და ტყავით ჩვენი ტანი შევიმოსოთ. I ნაპოლეონს დიდებული მძლეველის სახელი ჰქონდა ქვეყანაში გავარდნილი. იმის სახელი ღმერთთა სახელებს შუა იყო მოქცეული, მაგრამ იმას თავისმა ნიჭმაც ვერა უშველა-რა და, საფრანგეთის სასირცხვილოდ, ჩაუვარდა ტყვედ ინგლისლებსა, რომელთაც გაგზავნეს იგი სადღაც კუნძულზედ. ამის შემდეგ საფრანგეთმა იმოდენი შესარცხვენი დამარცხება გამოიარა, რომ ეხლა არც ერთს ევროპიელს სახელმწიფოს არა სურს მასთან კავშირი იქონიოს. თუმცა ბევრჯელ დამარცხდა საფრანგეთი, მაგრამ ფრანცუზებმა ყოფა-ქცევა მაინც არ გაისწორეს და, აი, ეხლა ანამს შემოესივნენ, რათა უსირცხვილოდ ცარცვონ იგი; ამ შემთხვევაში მათი მოქმედება არაფრით არ განირჩევა ველური მხეცების მოქმედებისაგან. მე ვარ თქვენი უფროსი, შემოსილი დე-დოკის (გენერლის) ხარისხით; მე მოვსჭერ თავი უკანასკნელს ბრძოლაში ლი-ოაიეს (კომენდანტს რივიერს), მეორე ბრძოლაში მე დავამარცხე ბუ-ხუა (გენერალი ბუე), რომელიც იძულებული იყო გაქცეულიყო. ამათი დამარცხების შემდეგ, ფრანცუზებმა დაიწყეს განოისკენ და გაიფონგისკენ და იქიდგან გამოსვლას ვეღარა ჰბედავენ. იმათ ეხლა ჩვენი ჯარიდგან გაქცეული შავი კაცებიცა ჰყავთ. იმათ ისარგებლეს ანამის მეფის სიკვდილით და ახალს ჭაბუკს მეფეს ძალად მოაწერინეს ხელი პირობაზე, რომელიც ჩვენ ნამდვილად არ მიგვაჩნია. იმათ განძრახვა აქვთ იერიში მიიტანონ სონტაიზე და ბაკნინგზე და სრულიადაც არა ჰფიქრობენ ჩინეთისაგან ამის ნება-რთვა აიღონ. ფრანცუზები თავ-მოყვარენი არიან—იმათ უნდათ უთუოდ დაიპყრან ანამი, და აი, სწორედ ამისთვის წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ მათს განზრახვას. ვფიცავთ, რომ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ და უკან არასოდეს არ დავიწევთ. თითო ფრანცუზების სალდათის თავზე 50 ტაელი (160 მანათი) მოგვეცემა და ორი ამოდენიც ოფიცრის თავზე. ფრანცუზების გემის დაჭერისათვის ჯილდო იმის კვალობაზე იქნება დანიშნული, რაც გემი ეღირება, ფრანცუზების ჯავშნიანი გემის დაწვისთვის ჯილდო ორი იმოდენი მოგვეცემა, რაც დამწვარი გემი ეღირება. მე ვიწვევ ყველა ანამელებს, რომელნიც საფრანგეთის სამსახურში არიან, რათა თავიანთ იარაღი ფრანცუზების წინააღმდეგ მიმართონ; ისინი ამ გვარი მოქმედებისთვის დასაჩუქრებულნი იქნებიან. როგორც იყოს, საჭიროა შევმუსროთ ეს შავების და ფრანცუზების ბრბო, რადა განვწმინდოთ მათგან წაპილწულნი ტონკინი და ქვეთა კოხინხინი. ეს არის ჩინეთის სურვილი. მე მომბაძეთ და დიდებით შეიმოსენით! სიკვდილი იმას, ვინც სხვაფრივ მოიქცევა!»

*) ჩინელების ღვთაებანი.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

6 მარტს.

რეველი. დღეს მოხდა დუელი ბარონს შილინგ-ლეხტინგალსა და იმის ცოლის ძმის გარლ კნორინგის შორის, რომელშიაც კნორინგი მოკლულ იქმნა.

სმოლენსკი. აქაურმა საბჭომ უაზროდ იცნო საქალაქო ბანკის არსებობა ახალს ნორმალურს წესდებაზედ. რადგან ოპერაციები ცოტა ჰქონდა და გადასწყვიტა იშუამდგომლოს ამ წესდების შეცვლაზედ.

ეკატერინოსლავი. ეკატერინოსლავის გზის გახსნას 15 აპრილისთვის აპირობენ.

ვენა. ელჩი თავ. ლობანოვ-როსტოვსკი დღეს თავის საქმეებისათვის პეტერბურგში წავიდა.

ბერლინი. ხვალ სასახლეში დიდის ყოფით მიიღებენ საბუროვს, რომელმაც უნდა იმპერატორს ჩააბაროს თავის დათხოვნის ქაღალდები.

7 მარტს.

პეტერბურგი. როგორც ისმის იუსტიციის სამინისტროს აღუძრავს საქმე შესახებ იმისა, რომ მომრიგებელ მოსამართლეებს გადაეცეს ზოგიერთი წვრილმანი საქმეები, რომელნიც ეხლა ოლქის სასამართლოების უწყებაში არიან; ამ განზრახვით აპირობენ მომრიგებელ სასამართლოების უფლების გავრცელებას, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებში.

პარიჟი. თავადი ორლოვი გუშინ ბერლინში წავიდა, როდესაც თავის რწმუნებითს ქაღალდებს მიიღებს, პარიჟში დაბრუნდება და მასუკან აპრილში ბერლინში დასახლდება.

# განცხადებანი

ბ. ხმელევსკი, რომელსაც ვარშავის კონსერვატორიის სრული კურსი აქვს შესრულებული და არის მოწაფე მაშოშკოსი, აძლევს მუსიკის გაკვეთილებს ფორტოპიანოზე, ფისჰარმონიაზე, და აგრეთვე ასწავლის მუსიკის და გარმონიის თეორიას (გენერალ-ბასსი), ცხოვრობს ფრანგების ეკლესიის სახლში, კუკიაში.

(6—1)

საკონკურსო გამგეობა შეუძლებელი ვალის პატრონის გაბრიელ იაგორის-ძის შადინოვის საქმეებისა ამით აცხადებს, რომ, თანახმად მოვალეთა საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა, 10 თებერვალს დანიშნულია გაყიდვა, ნებაყოფლობით ფასად, შეუძლებელი შადინოვის უძრავ ქონებათა, რომელთაც შეადგენენ: ა) ერთი სახლი დოქტორების ქუჩაზედ; ბ) ერთი დუქანი სომხების ბაზარში და გ) ნახევარ დუქანი დახურულ ბაზარში ქ. თბილისში.

გაყიდვა მოხდება ამ წლის 18 მარტს შუადღის 12 საათზე საკონკურსო გამგეობის სადგურში ირაკლის ქუჩაზე სახლში № 12, ნაფიცი ვექილის მელევის სადგურში. ვისაც ჰსურს იყიდოს აღნიშნულნი მამულნი, შეუძლიანთ მიმართონ ცნობებისთვის ყოველდღე საღამოს 5 საათიდამ დაწყებული 8 საათამდინ საკონკურსო გამგეობის თავმჯდომარეს გ. ნ. მელევის, და ამასთანავე შეუძლიანთ სინჯონ გასასყიდი მამულები ადგილობრივ.

თავმჯდომარე კონკურსისა გ. მელევი

კურატორი ბ. ლებედინსკი.

(3—3)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, სამოვარები, სამჭრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფაიფური, დასადგმელი პაპიროსსაბანი, სტაქნები, სუფრის ნაჭრები, საწყაო, საკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩეულის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბავშო მაგრატლები, ჯაჭვები, უთოები, წისქვილები, ხურხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარდები, კაპსიულები, ხათაბები, ნიჩბები, ლანგრები, საბნები, ჩუღლები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკოტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—74)

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—91)

# «ღლახის ნაანგოგი»

მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა

იყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კაპ.

(3—3)

სომხური სასულიერო სემინარიის ნერსესიანთა მზრუნველობის რჩევაში 21-ს რიცხვს ამა მარტისას, საღამოს 8 საათზე, მოხდება ვაჭრობა (განუმეორებლად) იჯარით გაცემაზე ერთის დუქნისა ოთახითურთ, რომელიც იმყოფება თელეთში სომხის ეკლესიასთან. პირობების ნახვა შეიძლება მზრუნველობის კანცელარიაში ყოველ-დღე, გარდა კვირა და სატაბელო დღესასწაულებისა, დილის 10 საათიდამ 12 საათამდინ.

(3—2)


# სტამბა

ეფთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, დოლის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს ჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—38)


საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები; სამართებლები, სანთლები, სალესი, ცარამვები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტისათვის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმიო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—56)

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 9 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 10 კ. |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის — | 1 | გ. | — კ. |
| მეორის — | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილისა. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკ.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. დილისა. (პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Дозв. ценз. Тифлисъ, 7 Марта 1884 г. (ქ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ძართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.